

## სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“**ვ ა მ ტ კ ი ც ე პ**”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების  
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის  
უფროსი

*ჭ. ჭყიშვილი*

ზურაბ ბუცხრიკიძე

„31“ „10“ 2014 წელი

ეგზ. № 1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების  
ფინანსური აუდიტის ანგარიში *აქ 36/00*

2014 წელი

## სარჩევი

|                                                                                              |           |
|----------------------------------------------------------------------------------------------|-----------|
| აუდიტის ობიექტი .....                                                                        | 4         |
| აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა .....                                       | 4         |
| აუდიტორის პასუხისმგებლობა .....                                                              | 5         |
| აუდიტის მიდგომა .....                                                                        | 6         |
| ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში ..... | 8         |
| ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ .....                                                    | 8         |
| <b>ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები .....</b>                                           | <b>9</b>  |
| 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები .....                       | 10        |
| შენობა-ნაგებობები .....                                                                      | 10        |
| მანქანა-დანადგარი და ინვენტარი .....                                                         | 14        |
| დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები .....                                                        | 15        |
| სხვა ძირითადი აქტივი .....                                                                   | 16        |
| არაწარმოებული აქტივები .....                                                                 | 17        |
| წმინდა ღირებულება .....                                                                      | 17        |
| ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები .....            | 17        |
| შრომის ანაზღაურება .....                                                                     | 18        |
| ოფისის ხარჯი .....                                                                           | 18        |
| ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება .....                                                        | 19        |
| ანგარიში ეკონომიური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ .....                   | 20        |
| არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები .....                                                      | 20        |
| გზები .....                                                                                  | 21        |
| ხიდები .....                                                                                 | 22        |
| ელექტროგადამცემი ხაზები .....                                                                | 23        |
| სხვა შენობა-ნაგებობები .....                                                                 | 24        |
| ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში ..... | 26        |
| ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ .....                                                    | 26        |
| <b>ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები .....</b>                                           | <b>26</b> |

|                                                                                 |    |
|---------------------------------------------------------------------------------|----|
| 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები .....          | 28 |
| მოთხოვნები წინასწარი გადახდებით .....                                           | 28 |
| შენობა-ნაგებობები .....                                                         | 28 |
| მანქანა- დანადგარი და ინვენტარი .....                                           | 30 |
| სხვა ძირითადი აქტივი .....                                                      | 31 |
| დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები .....                                           | 31 |
| არაწარმოებული აქტივები .....                                                    | 32 |
| აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები .....                               | 32 |
| ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივი ..... | 33 |
| შრომის ანაზღაურება.....                                                         | 33 |
| ოფისის ხარჯი.....                                                               | 34 |
| ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება .....                                           | 34 |
| ანგარიში ეკონომიური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ.....       | 35 |
| არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები .....                                         | 35 |
| სხვა შენობა- ნაგებობები .....                                                   | 36 |
| აუდიტის მოსაზრება .....                                                         | 37 |
| ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება.....                 | 39 |
| ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება.....                 | 61 |
| აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....                                        | 83 |
| აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....                                        | 83 |

## აუდიტის ობიექტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი. მუნიციპალიტეტი ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ბალანსს 2013 და 2014 წლების 1 იანვრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. კერძოდ: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემების შესახებ.

## აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებისა და „ბიუჯეტების

დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ეთიკის ყველა ის მოთხოვნა, რომელთაც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე, მათ შორის, აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან შეუსაბამობის რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონშესაბამისობისა და მართლზომიერების უზრუნველყოფისათვის, რათა დაიგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

## აუდიტის მიდგომა

აუდიტის რისკის შესამცირებლად განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. აუდიტის ჯგუფმა არსებითობის განსაზღვრის საფუძველად აიღო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - მთლიანი დანახარჯები. აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებულ რისკზე საპასუხოდ ჩატარდა აუდიტორული პროცედურები:

1. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი „არაფინანსური აქტივების“ მუხლის სისწორის დასადასტურებლად შემოწმდა წლის მანძილზე განხორციელებული შესყიდვები, უსასყიდლოდ მიღებული არაფინანსური აქტივები და ყველა ის ოპერაცია, რომელიც თავისი ბუნებით მიეკუთვნება არაფინანსური აქტივის მიღება-გასვლას. განხორციელებული შესყიდვების შემოწმებისას აუდიტის ჯგუფი დაეყრდნო მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილ წლის მანძილზე განხორციელებული შესყიდვების მონაცემს (რეესტრს).
2. „ხარჯების“ მუხლში წარმოდგენილი მონაცემის წარმოშობის მტკიცებისათვის, ერთმანეთს შედარდა შესყიდვების რეესტრში არსებული ხარჯების ოპერაციები და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემი. შემოწმდა გაფორმებული ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები.

*გარდა ამისა, შემოწმდა ისეთი შინაარსის ხარჯების ოპერაციები, რომლებიც არ განხორციელებულა შესყიდვის გზით, კერძოდ:*

- სუბსიდიის სახით გაწეულ ხარჯზე - სუბსიდიის მიმღები ორგანიზაციები და მათი გაცემის საფუძვლიანობა.

- სოციალური დახმარების მიზნით გადარიცხულ თანხებზე - სოციალური დახმარების პროგრამები და საბანკო ამონაწერი;
- წლის განმავლობაში გაცემულ ხელფასებსა და პრემიებზე - ხელფასის უწყისი და გაცემულ პრემიებზე თანამშრომელთა სახელობითი სიები;
- 3. მუნიციპალიტეტიდან მოწოდებული შესყიდვების რეესტრის სისრულისა და საიმედოობის დადგენის მიზნით, ერთმანეთს შედარდა შესყიდვების გეგმისა და მუნიციპალიტეტიდან მიღებული შესყიდვების (ბაზის) რეესტრის მონაცემები, რომლებიც ასევე შედარდა შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას.
- 4. განხორციელებულ შესყიდვებზე საკასო ხარჯის დადასტურების მიზნით, გადამოწმდა საბანკო გადარიცხვები. ამ მიზნით შესყიდვების რეესტრში მოცემულ მიმწოდებლებზე გადარიცხული თანხები შედარდა საბანკო ამონაწერს, რომელიც მოწოდებულია მუნიციპალიტეტის მიერ და აუდიტის ჯგუფის მიერ მიღებულია როგორც სარწმუნო.
- 5. ბანკის ამონაწერში გადარიცხული თანხების რეალურობის (საფუძვლიანობის) დადგენის მიზნით, შემოწმდა გადარიცხული თანხების შესაბამისობა ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ და დოკუმენტურად დასაბუთებულ ოპერაციებთან.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული წინასწარი აუდიტორული პროცედურებით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა შეფასდა, როგორც სუსტი. შესაბამისად, ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის უზუსტობის რისკი განისაზღვრა, როგორც - მაღალი.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლების შესაქმნელად.

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

### ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. საკუთარი შემოსულობებით მუნიციპალიტეტი აფინანსებს საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებებს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და სპეციალური ტრანსფერით, საიდანაც აფინანსებს სხვადასხვა ღონისძიებას.

იმის გამო, რომ 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობებია, წარმოდგენილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ აღებულია ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან.

2012 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 5840.0 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 4800.3 ათასი ლარი (82%) არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი. მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებულია 2295.4 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 175.0 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 2329.9 ათასი ლარი მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით.

2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 5860.9 ათასი ლარი. გადასახდელების 61%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 39%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა. 2012 წელს მუნიციპალიტეტის მიერ არაფინანსური აქტივის ზრდის კუთხით ძირითადად

განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: შენობა-ნაგებობებისა და გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, აგრეთვე გარე განათების სამუშაოები.

### ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებითა და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობების გამოვლენას ან/და მათ თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ არაფინანსური აქტივების აღრიცხვა, საბალანსო ღირებულების შეფასება;
- ✓ მიღებული და გასული არაფინანსური აქტივების მოძრაობა;
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების გამიჯვნა;
- ✓ შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა;
- ✓ საცნობარო მუხლების აღრიცხვა;
- ✓ ცვეთის დარიცხვა.

ორგანიზაციას არ აქვს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა. ბუღალტერიაში აღრიცხვა-ანგარიშგება წარმოებს ხელით, მემორიალური ორდერებისა და ე.წ. „მთავარი წიგნის“ საშუალებით, რომელიც არ არის ელექტრონული. „მთავარი წიგნის“ წარმოება ხასიათდება არსებითი ხარვეზებით - მონაცემების გარკვევა უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია,<sup>1</sup> ანგარიშები არ მოიცავს საწყისი და საბოლოო ნაშთების შესახებ მონაცემებს.

<sup>1</sup>წიგნს აწარმოებენ ერთდროულად, როგორც ბურთულიანი ავტოკალმით, ისე ფანქრით, ამიტომ ზოგიერთი მონაცემი წაშლილია, ხოლო ზოგიერთი, საერთოდ არ იკითხება.

შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების შედგენისას არ არის გამოყენებული მონაცემები „მთავარი წიგნიდან“.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფს ცალკეული სტრუქტურული ერთეულის კოორდინირებულ მუშაობას, რის გამოც საფინანსო სამსახურს დაგვიანებით ან საერთოდ არ მიეწოდება ინფორმაცია იმ ოპერაციების შესახებ, რომლებიც ბუღალტრულ ჩანაწერებში უნდა აისახოს.

მუნიციპალიტეტი არ ამზადებდა ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებს. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა ფინანსური ანგარიშგების ფორმა - ორგანიზაციის ბალანსი და ბალანსის დანართი - ფორმები, 2012 წლის მდგომარეობით, მოამზადა აუდიტის მიმდინარეობის პროცესში.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები მიღებულია, როგორც სარწმუნო.

## 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

### შენობა-ნაგებობები

**გარემოება 1.** ფინანსურ ანგარიშგებაში „შენობა-ნაგებობების“ მუხლი წარმოდგენილია 3026.2 ათასი ლარით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2012 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგებზე დაყრდნობით. წარმოდგენილი ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით, „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შეადგენს 10850.1 ათას ლარს. აღნიშნული 7823.9 ათასი ლარით მეტია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემზე.

## გავლენა

- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1) წარმოდგენილ „შენობა-ნაგებობების“ მუხლის სისწორეზე.

**გარემოება 2.** 2010 წელს მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს-საავტომობილო გზების დეპარტამენტისგან უსასყიდლოდ გადმოეცა ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა ღირებულებით 1899.3 ათასი ლარი.<sup>2</sup> აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და ბალანსში უნდა აისახოს „აქტივის მიღებად“ მისი გადმოცემის წელს. როგორც შესწავლილი დოკუმენტებით ირკვევა, მუნიციპალიტეტმა აღნიშნული აქტივის ბალანსზე აყვანა განახორციელა 2012 წელს, მაგრამ ფინანსურ ანგარიშგებაში „შენობა-ნაგებობების“ ზრდის მუხლში აღნიშნული აქტივი არ არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, აქტივს შესაბამის პერიოდში აღიარებისას უნდა დარიცხვოდა ცვეთა. იმ მიზეზით, რომ აქტივი დაგვიანებით აიყვანეს ბალანსზე, ღირებულების განსაზღვრისას უნდა გაეთვალისწინებინათ დასარიცხი ცვეთის თანხა.

## გავლენა

- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №2-1 და ფორმა №5) წარმოდგენილ „შენობა-ნაგებობების“ მუხლის სისწორეზე.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2; №3; №2-1 და №5) დასარიცხი ცვეთის თანხით შემცირებულია „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი.

<sup>2</sup> ბერძნისწყარო - კოხნარი - სერი - ზემოხეთის საავტომობილო გზა.

- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

**გარემოება 3.** 2012 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა 55.3 ათასი ლარის საპროექტო მომსახურების შესყიდვა. როგორც ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით არის განსაზღვრული, ოპერაციის ძირითად აქტივად აღიარების დროს ყველა დანახარჯი, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ემატება აქტივის ღირებულებას. როგორც დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, საპროექტო მომსახურების ღირებულება, ნაცვლად არაფინანსური აქტივისა, სრულად აღიარებულია საქონლისა და მომსახურების ხარჯში.

### გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) „შენობა-ნაგებობების“ მუხლი 55.3 ათასი ლარით არის შემცირებული.
- აქტივის ოპერაციების ხარჯში აღრიცხვა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2; №3) წარმოდგენილ „საქონელი და მომსახურების“ მუხლსა და ფორმა №3-ში წარმოდგენილ საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა, რადგან საპროექტო მომსახურების ღირებულება ბალანსში წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, მასზე ცვეთის დარიცხვა არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები - ფორმა №2; № 2-1, №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.

- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

**გარემოება 4.** მუნიციპალიტეტმა წლის მანძილზე სხვადასხვა მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში შეისყიდა 25.2 ათასი ლარის წყლის სისტემის რეაბილიტაციის, სკვერის კეთილმოწყობის, შემოღობვის სამუშაოები<sup>3</sup>. შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს არაფინანსური აქტივის ზრდის ოპერაციებს. ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში სამუშაოები, ნაცვლად არაფინანსური აქტივის ზრდისა, აღიარებულია „ხარჯის“ მუხლში.

### გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) „შენიშვნა ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 25.2 ათასი ლარით.
- აქტივის ოპერაციების ხარჯში აღრიცხვა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2; №3) წარმოდგენილი „საქონელი და მომსახურების“ მუხლსა და ფორმა №3-ში წარმოდგენილ საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა. რადგან სამუშაოების აქტივად აღიარების ოპერაცია არ განხორციელებულა, დასარიცხი თანხა ცვეთის თანხით ნაკლებია ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2, № 2-1, №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის ფორმა - №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

<sup>3</sup> ი/მ „დავით კალანდაძე“ – ხელშეკრულება №210, ღირებულებით 14.2 ათასი ლარი; ი/მ „თამაზ ტრაპაიძე“ – ხელშეკრულება №196, ღირებულებით 3.8 ათასი ლარი. შპს „არტი“ – ხელშეკრულება №261, ღირებულებით 4.6 ათასი ლარი; ი/მ „კუპატაძე გურგენი“ – ხელშეკრულება № 258, ღირებულებით 2.6 ათასი ლარი.

**გარემოება 5.** მუნიციპალიტეტის ბუღალტრულ ჩანაწერებში აქტივად „შენობა-ნაგებობების“ მუხლში აღიარებულ იქნა 1779.4 ათასი ლარის სარეაბილიტაციო სამუშაო. ფინანსურ ანგარიშგებაში „შენობა-ნაგებობების“ ზრდის მუხლში მონაცემი 4.8 ათასი ლარით გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი.

#### გავლენა

- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „შენობა-ნაგებობების“ მუხლის სისწორეზე.

#### მანქანა-დანადგარი და ინვენტარი

**გარემოება 1.** ფინანსურ ანგარიშგებაში „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი წარმოდგენილია 254.2 ათასი ლარით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2012 წელს ჩატარებულ ინვენტარიზაციის შედეგებზე დაყრდნობით. წარმოდგენილი ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით, „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი შეადგენს 557.1 ათას ლარს. აღნიშნული 302.9 ათასი ლარით მეტია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემზე.

#### გავლენა

- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1) წარმოდგენილ „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლის სისწორეზე.

**გარემოება 2.** მუნიციპალიტეტმა განახორციელა 77.0 ათასი ლარის ღირებულების მანქანა-დანადგარისა და ინვენტარის შესყიდვა, რომელიც ბუღალტრულ ჩანაწერებში სრულად არის აღრიცხული შესაბამის ანგარიშზე. ფინანსურ ანგარიშგებაში „მანქანა-

დანადგარებისა და ინვენტარის“ ზრდის მუხლი 43.7 ათასი ლარით ნაკლები თანხით არის წარმოდგენილი.

#### გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართ - ფორმებში №2 და №5) „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი შემცირებულია 43.7 ათასი ლარით.

**გარემოება 3.** მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ გადმოეცა 4.0 ათასი ლარის ავტოსატრასპორტო საშუალება. აღნიშნული აქტივის მიღება ასახულია ბუღალტრულ გატარებაში, მაგრამ ფინანსურ ანგარიშგებაში „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ ზრდის მუხლში არ არის წარმოდგენილი.

#### გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №5) „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი შემცირებულია 4.0 ათასი ლარით.

#### დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები

**გარემოება.** მუნიციპალიტეტმა 2012 წელს შპს „ფიროსმანისგან“<sup>4</sup> შეისყიდა სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 140.9 ათასი ლარი. მიმწოდებელმა ხელშეკრულების ფარგლებში შეასრულა მხოლოდ 96.7 ათასი ლარის სამუშაო. დანარჩენი სამუშაოები დასრულდა 2013 წელს, შპს „ბათუმთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში. ბუღალტრულ გატარებებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში 2012 წელს დაუსრულებელი 96.7 ათასი ლარის სამუშაო,

<sup>4</sup> ხელშეკრულება N 247

ნაცვლად „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლისა, წარმოდგენილია „შენობა-ნაგებობების“ მუხლში.

### გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) „შენობა ნაგებობების“ მუხლი გაზრდილია 96.7 ათასი ლარით. შესაბამისი თანხით შემცირებულია „დაუმთავრებელი მშენებლობის მუხლი“.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს დაუსრულებელ მშენებლობას და არ უნდა დაერიცხოს ცვეთის თანხა, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2, № 2-1, №3 და №5) დარიცხული ცვეთის თანხით მეტია „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი.
- არასწორად დარიცხული ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

### სხვა ძირითადი აქტივი

**გარემოება.** ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა ძირითადი აქტივის“ მუხლი წარმოდგენილია 6833.0 ათასი ლარით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2012 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგებზე დაყრდნობით. აღნიშნული შედეგების მიხედვით, „სხვა ძირითადი აქტივის“ მუხლი შეადგენს 274.6 ათას ლარს, რაც 6558.4 ათასი ლარით ნაკლებია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემზე.

### გავლენა

- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „სხვა ძირითადი აქტივის“ მუხლის სისწორეზე.

### არაწარმოებული აქტივები

**გარემოება.** 2012 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა 12.8 ათასი ლარის ღირებულების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაცია. აღნიშნული ოპერაცია ბუღალტრულ ჩანაწერებში არ არის გატარებული და არც ფინანსური ანგარიშგების „არაწარმოებული აქტივების“ მუხლშია წარმოდგენილი.

### გავლენა

- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „არაწარმოებული აქტივების“ მუხლის სისწორეზე.

### წმინდა ღირებულება

**გარემოება.** „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ ხარჯების ჯამი სადებეტო ბრუნვაში წარმოდგენილია 7570.5 ათასი ლარით. აღნიშნულ ანგარიშში წარმოდგენილი ხარჯების ჯამი რეალურად შეადგენს 5566.3 ათას ლარს. წლის მანძილზე გაწეული ხარჯების არასწორი დაანგარიშება გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ ნაშთის სისწორეზე.

### გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №3) „წმინდა ღირებულება“ არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

### ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები

**გარემოება.** 2012 წელს ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით, ექსპლუატაციაში მყოფი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივის ღირებულება შეადგენს 267.9 ათას ლარს. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული მონაცემი არ არის წარმოდგენილი.

## გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის ფორმა №1) საცნობარო მუხლი „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.

## შრომის ანაზღაურება

**გარემოება.** 2012 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, ხელფასის სახით გასცა 1056.3 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად მიკუთვნებულია „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლს. წარმოდგენილი ხელფასის უწყისების მიხედვით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე გაცემული თანამდებობრივი სარგო შეადგენს 946.8 ათას ლარს, ხოლო დარნარჩენი 109.5 ათასი ლარი წარმოადგენს თანამშრომლებისთვის პრემიის სახით გაცემულ თანხას.

## გავლენა

- პრემიის სახით გაცემული თანხების არასწორი კლასიფიცირების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2) „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლი გაზრდილია 109.5 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „პრემიის“ მუხლი.

## ოფისის ხარჯი

**გარემოება.** 2012 წელს მუნიციპალიტეტმა საკრებულოს დეპუტატების ხარჯების ანაზღაურებისათვის გასცა 101.0 ათასი ლარი. თანხის გაცემის საფუძველს წარმოადგენს საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული წესი.<sup>5</sup> დადგენილების თანახმად, საკრებულოს წევრებს უფლებამოსილების განხორციელებისათვის გაწეული ხარჯი აუნაზღაურდებათ ყოველთვიურად დადგენილი ლიმიტის ფარგლებში. ამ მიზნით, ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე,

<sup>5</sup> „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“.

ანაზღაურებულია 101.0 ათასი ლარი და წარმოდგენილია „ოფისის ხარჯის“ მუხლში. აღნიშნული თავისი შინაარსით, არ მიეკუთვნება „ოფისის ხარჯს“. რადგან ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი, ვერ დგინდება, რომელი მუხლით უნდა განისაზღვროს გაწეული დანახარჯი.

#### გავლენა

- ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2) „ოფისის ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 101.0 ათასი ლარით.

#### ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება

**გარემოება.** მუნიციპალიტეტმა 2012 წლის განმავლობაში სულ მიიღო 5840.0 ათასი ლარის შემოსავალი. ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის დანართ - ფორმა №3-ში „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ შემოსავალი წარმოდგენილია 5919.8 ათასი ლარით, რაც 79.8 ათასი ლარით მეტია რეალურად მიღებულ შემოსავალზე. აღნიშნული თანხა არის წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთი, რომელიც მიეკუთვნება წინა წლის შემოსავალს და არასწორია მისი აღრიცხვა 2012 წლის შემოსავალში.

#### გავლენა

- მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის არასწორად აღრიცხვის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №3) შემოსავალი 79.8 ათასი ლარით გაზრდილია, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის ფორმა №1) არასწორია „წმინდა ღირებულების“ მუხლი.

### ანგარიში ეკონომიური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

**გარემოება.** ფინანსური ანგარიშგების დანართი - ფორმა №4 „ანგარიში ეკონომიური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ“, შინაარსიდან გამომდინარე, გულისხმობს მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის აღრიცხვას. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების აღნიშნული დანართი მოიცავს ინფორმაციას შემოსავლების შესახებ<sup>6</sup>, რომლებიც ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ სახსრებს არ მიეკუთვნება, შესაბამისად, არასწორია მისი ასახვა ანგარიშში.

### გავლენა

- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების დანართ - ფორმა №4-ში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

### არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები

**გარემოება.** მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ბუღალტრულად „არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობის“ მიღების მუხლში აღიარდა 354.5 ათასი ლარის სამუშაო. აღნიშნული თანხა მოიცავს ამ მუხლში არასწორად კლასიფიცირებულ 7.6 ათასი ლარის სამუშაოს.<sup>7</sup> ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში ფორმა №5-ში წარმოდგენილი „არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობის“ მიღების მუხლი შეადგენს 533.8 ათას ლარს.

### გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (დანართი - ფორმა №2-1, №5) „არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების“ მუხლი გაზრდილია 186.9 ათასი ლარით.

<sup>6</sup> ანგარიშში აღრიცხულია მიღებული გრანტები (სახელმწიფოდან მიღებული ტრანსფერები), საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, სანქციები, ჯარიმები, საურავები, არაფინანსური აქტივის კლებიდან მიღებული შემოსავლები.

<sup>7</sup> შპს „ბრიდჯ ბილდის“ მიერ №276 ხელშეკრულებით შესრულებული 7.6 ათასი ლარის ღირებულების წყლის წისქვილის სარეაბილიტაციო სამუშაო.

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) „სხვა ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 7.6 ათასი ლარით.
- არასწორად კლასიფიცირების გამო, 7.6 ათასი ლარის აქტივს, ნაცვლად შესაბამისი კოეფიციენტისა, მინიჭებული აქვს არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობის ცვეთის კოეფიციენტი. შესაბამისად, მასზე დარიცხილი ცვეთა არასწორია. აღნიშნული გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2, №2-1, №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლის სისწორეზე.
- ცვეთის თანხა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

## გზები

**გარემოება.** მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან ბუღალტრულ ჩანაწერებში „გზის“ მიღების მუხლში აღიარებულია 420.2 ათასი ლარის სამუშაო. აღნიშნული მუხლი მოიცავს გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებს, რომელიც წარმოადგენს არაფინანსური აქტივის ზრდას. ასევე, „მიმდინარე ხარჯს“ მისაკუთვნებელი მოხრეშვის სამუშაოები, ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების დანართ ფორმა №5-ში, „გზის“ ზრდის მუხლი წარმოდგენილია 201.5 ათასი ლარით.

## გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) „გზის“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.
- გზის მოხრეშვის სამუშაოების აქტივად აღიარების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2 და №3) შემცირებულია ხარჯის მუხლი.

- მოხრეშვის სამუშაოები აქტივად არის აღიარებული, შეაბამისად, მასზე დარიცხული ცვეთით გაზრდილია ცვეთის თანხა. გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2, №2-1, №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლის სისწორეზე.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

### ხიდები

**გარემოება.** მუნიციპალიტეტში ბუღალტრულ ჩანაწერებში „ხიდის“ მუხლში აღრიცხულია 285.2 ათასი ლარის სამუშაო, რომელშიც არასწორად არის კლასიფიცირებული სოფელ ვაზიანში 10.5 ათასი ლარის ღირებულების წყალგამტარი მილის აღდგენითი სამუშაო. ფინანსურ ანგარიშგებაში „ხიდის“ მიღების მუხლი წარმოდგენილია 287.1 ათასი ლარით.

### გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) „ხიდის“ მუხლი გაზრდილია 12.4 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) „საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის სისტემების“ მუხლი შემცირებულია 10.5 ათასი ლარით.
- შესრულებული სამუშაოები აღრიცხულია არასწორად, შესაბამისად, მასზე დარიცხული ცვეთა არასწორია. ეს გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2, №2-1, №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლის სისწორეზე.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

### ელექტროგადამცემი ხაზები

**გარემოება.** ბუღალტრულ გატარებებში „ელექტროგადამცემი ხაზების“ მიღების მუხლში აღიარდა 236.6 ათასი ლარის სამუშაო. შესწავლით გამოვლინდა, რომ ბუღალტრულად აღნიშნულ მუხლში არასწორად არის კლასიფიცირებული 59.6 ათასი ლარის ღირებულების წყალგაყვანილობის სამუშაოები.<sup>8</sup> ფინანსურ ანგარიშგებაში „ელექტროგადამცემის ხაზების“ მიღების მუხლი წარმოდგენილია 130.7 ათასი ლარით. სულ წლის მანძილზე ამ მუხლით შესრულებული სამუშაოები შეადგენს 177.0 ათას ლარს, რაც 46.3 ათასი ლარით მეტია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემზე.

### გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) „ელექტროგადამცემი ხაზების“ მუხლი შემცირებულია 46.3 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) „საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის სისტემების“ მუხლი შემცირებულია 59.6 ათასი ლარით.
- შესრულებული სამუშაოები არასწორად არის აღრიცხული, შესაბამისად, მასზე დარიცხული ცვეთაც არასწორია. ეს გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2, №2-1, №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლის სისწორეზე.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

<sup>8</sup> ი.მ „ივანე მამალაძე ხელშეკრულება“ N282; ი.მ „სერგო კობიძე“ ხელშეკრულება N 154; შპს „ბრიჯ ბილდი“ ხელშეკრულება N 276; ი.მ „ავთანდილ ბასილია“ ხელშეკრულება N 113; ი.მ „ვანო ჯაყელი“ ხელშეკრულება N 175; შპს „გიორგი“ N 148; შპს „გიორგი“ N 151; ი.მ გელა ყაჭიშვილი ხელშეკრულება N 115.

### სხვა შენობა-ნაგებობები

**გარემოება.** მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებულია 135.7 ათასი ლარის გზების, ელექტროგადამცემი ხაზებისა და ხიდების სარეზიდუალური სამუშაოები,<sup>9</sup> რომლებიც ხელშეკრულებით სხვადასხვა სახის სამუშაოებთან ერთად იყო გათვალისწინებული. სამუშაოები, ნაცვლად შესაბამისი ღირებულებით იდენტიფიცირებისა და სწორ ანგარიშზე კლასიფიცირებისა, ერთიანად აღრიცხულია „სხვა შენობა-ნაგებობების“ მუხლში.

### გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) „სხვა შენობა-ნაგებობების“ მუხლი გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) შესაბამისი მუხლები შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.
- შესრულებული სამუშაოები არასწორად არის აღრიცხული, შესაბამისად, მასზე დარიცხული ცვეთა არასწორია. გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2, №2-1, №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლის სისწორეზე.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

<sup>9</sup> შპს „ჩოხატაურის საგზაო სამართველო“ ხელშეკრულება N 216; <sup>9</sup> შპს „ჩოხატაურის საგზაო სამართველო“ ხელშეკრულება N 214; ი.მ. „ზვიად სიხარულიძე“ ხელშეკრულება N 187; ი.მ. „დავით ბარამიძე“ ხელშეკრულება 133; შპს „გიორგი +“ 144.

## აუდიტის მოსაზრება

სახელმწიფო აუდიტის სამსახური გამოთქვამს უარყოფით მოსაზრებას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველია ფინანსური ანგარიშგების ყველა არსებითი ასპექტის შეუსაბამობა შემდეგ საკანონმდებლო მოთხოვნებთან:

✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანება;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

✓ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება.

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

### ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

2013 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 8367.4 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 7295.8 ათასი ლარი (87%) არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი, მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებულია 2475.1 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 175.0 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 4649.9 ათასი ლარი, მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით.

2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 8287.6 ათასი ლარი. გადასახდელების 45%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 55%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა. 2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ არაფინანსური აქტივის ზრდის კუთხით ძირითადად განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქუჩების მოასფალტებისა და გარე განათების სამუშაოები.

### ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებითა და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და მათ თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ არაფინანსური აქტივების აღრიცხვა;

- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღიკვეთა;
- ✓ შემოსავლებისა და ხარჯების აღიკვეთა;
- ✓ საცნობარო მუხლის აღიკვეთა;
- ✓ ცვეთის დარიცხვა.

ორგანიზაციას არ აქვს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა. ბუღალტერიაში აღიკვეთა-ანგარიშგება წარმოებს ხელით, მემორიალური ორდერებისა და ე.წ. „მთავარი წიგნის“ საშუალებით, რომელიც არ არის ელექტრონული. „მთავარ წიგნს“ აწარმოებენ არსებითი ხასიათის ხარვეზებით - მონაცემების გარკვევა უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია,<sup>10</sup> ხოლო ანგარიშები არ მოიცავს საწყისი და საბოლოო ნაშთების შესახებ მონაცემებს. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების შედგენისას არ არის გამოყენებული მონაცემები მთავარი წიგნიდან.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფს ცალკეული სტრუქტურული ერთეულის კოორდინირებულ მუშაობას, რის გამოც საფინანსო სამსახურს დაგვიანებით ან საერთოდ არ მიეწოდება ინფორმაცია იმ ოპერაციების შესახებ, რომლებიც ბუღალტრულ ჩანაწერებში უნდა აისახოს.

მუნიციპალიტეტი არ ამზადებდა ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებებს. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა ფინანსური ანგარიშგების ფორმა - ორგანიზაციის ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმები, 2013 წლის მდგომარეობით, მოამზადა აუდიტის მიმდინარეობის პროცესში.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გამოვლენილი შიდა კონტროლის ხარვეზები არსებით გავლენას

<sup>10</sup>წიგნს აწარმოებენ ერთდროულად როგორც ბურთულიანი კალმით, ისე - ფანქრით, ამიტომ ზოგიერთი მონაცემი წაშლილია და ზოგიერთი საერთოდ არ იკითხება.

ახდენს 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის წარმოდგენილი „არაფინანსური აქტივების“, „წმინდა ღირებულებისა“ და სხვა მუხლები.

## 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

### მოთხოვნები წინასწარი გადახდებით

**გარემოება.** მუნიციპალიტეტმა წლის განმავლობაში მიმწოდებლებს<sup>11</sup> საბანკო უზრუნველყოფის საფუძველზე ავანსად გადაურიცხა 110.0 ათასი ლარი. 2013 წლის ბოლოსათვის მიმწოდებლებს მიღებული ავანსის ღირებულების სამუშაოები არ ჰქონდათ შესრულებული. აქედან გამომდინარე, წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის მოთხოვნა შეადგენს 110.0 ათას ლარს. აღნიშნული ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი.

### გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) მუხლი „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“ შემცირებულია 110.0 ათასი ლარით.

### შენობა-ნაგებობები

**გარემოება 1.** ფინანსურ ანგარიშგებაში „შენობა-ნაგებობების“ მუხლი წარმოდგენილია 1763.9 ათასი ლარით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2013 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგებზე დაყრდნობით. წარმოდგენილი ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით, შენობა-ნაგებობათა ღირებულება შეადგენს 12880.1 ათას ლარს. აღნიშნული 11116.2 ათასი ლარით მეტია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემზე.

<sup>11</sup> ხელშეკრულება N328 შპს „მაჯა“ 60.0 ათასი ლარი. ხელშეკრულება N234 შპს „ჩოხატაურის საგზაო სამმართველო“ 50.0 ათასი ლარი

## გავლენა

- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „შენობა-ნაგებობების“ მუხლის სისწორეზე.

**გარემოება 2.** 2013 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა 109.6 ათასი ლარის საპროექტო მომსახურების შესყიდვა. როგორც ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით არის განსაზღვრული, ოპერაციის ძირითად აქტივად აღიარების დროს ყველა დანახარჯი, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ემატება აქტივის ღირებულებას. როგორც დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, საპროექტო მომსახურების ღირებულება, ნაცვლად არაფინანსური აქტივისა, სრულად აღიარებულია საქონლისა და მომსახურების ხარჯში.

## გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმა №2-1, №5) „შენობა-ნაგებობების“ მუხლი 109.6 ათასი ლარით არის შემცირებული.
- აქტივის ოპერაციების ხარჯში აღრიცხვა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2; №3) წარმოდგენილ „საქონელი და მომსახურების“ მუხლსა და ფორმა №3-ში წარმოდგენილ საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა. რადგან საპროექტო მომსახურების ღირებულება ბალანსში წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, მასზე ცვეთის დარიცხვა არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2; №2-1, №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.

- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „შმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

**გარემოება 3.** 2013 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა ქუჩების, გზების, ხიდების, საკანალიზაციო სისტემებისა და ელექტროგადამცემი ხაზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. ფინანსურ ანგარიშგებაში შესრულებული სამუშაოების ღირებულება 2918.4 ათასი ლარი, ნაცვლად „შენობა-ნაგებობის“ ზრდის მუხლისა, წამოდგენილია „სხვა ძირითადი აქტივების“ ზრდის მუხლში.

#### გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმები №2-1 და №5), ერთი მხრივ, შემცირებულია „შენობა-ნაგებობის“ მუხლი, ხოლო, მეორე მხრივ, გაზრდილია „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლი.

#### მანქანა-დანადგარი და ინვენტარი

**გარემოება 1.** ფინანსურ ანგარიშგებაში „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი წარმოდგენილია 130.5 ათასი ლარით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2013 წელს ჩატარებულ ინვენტარიზაციის შედეგებზე დაყრდნობით. ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით, „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი შეადგენს 630.1 ათას ლარს. აღნიშნული 499.6 ათასი ლარით მეტია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემზე.

#### გავლენა

- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლის სისწორეზე.

**გარემოება 2.** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა წლის განმავლობაში შეიძინა ორი ავტოსატრანსპორტო საშუალება, ღირებულებით 37.4 ათასი ლარი.<sup>12</sup> ფინანსურ ანგარიშგებაში „მანაქანა-დანადგარები და ინვენტარის“ ზრდის მუხლი წარმოდგენილია 45.6 ათასი ლარით.

#### გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალასი ფორმა N1, ბალანსის დანართი ფორმები №2-1, №5) „მანაქანა-დანადგარი და ინვენტარის“ მუხლი გაზრდილია 8.2 ათასი ლარით.

#### სხვა ძირითადი აქტივი

**გარემოება.** ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა ძირითადი აქტივის“ მუხლი წარმოდგენილია 10006.4 ათასი ლარით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2013 წელს ჩატარებულ ინვენტარიზაციის შედეგებზე დაყრდნობით. წარმოდგენილი ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით „სხვა ძირითადი აქტივის“ მუხლი შეადგენს 213.1 ათას ლარს. აღნიშნული 9793.3 ათასი ლარით ნაკლებია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემზე.

#### გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილი „სხვა ძირითადი აქტივის“ მუხლი გაზრდილია 9793.3 ათასი ლარით.

#### დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები

**გარემოება.** მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2013 წელს განხორციელებული შესყიდვებიდან წლის ბოლოს დაუმთავრებელი დარჩა

<sup>12</sup> ი/მ „შოთა კალანდაძისგან“ №134 ხელშეკრულებით შეიძინა ავტომანქანა, ღირებულებით 4.4 ათასი ლარი და ი/მ „ირაკლი ხუციშვილისგან“ №181 ხელშეკრულებით შეიძინა ამწე კალათა, ღირებულებით 33.0 ათასი ლარი.

637.0 ათასი ლარის სხვადასხვა სამუშაო. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული მონაცემი ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი.

#### გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №5) „დაუმთავრებელი მშენებლობების“ მუხლი შემცირებულია 637.0 ათასი ლარით.

#### არაწარმოებული აქტივები

**გარემოება.** 2013 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა 14.5 ათასი ლარის ღირებულების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაცია. აღნიშნული ოპერაცია ბუღალტრულ ჩანაწერებში არ არის გატარებული და არც ფინანსური ანგარიშგების „არაწარმოებული აქტივების“ მუხლშია წარმოდგენილი.

#### გავლენა

- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „არაწარმოებული აქტივების“ მუხლის სისწორეზე.

#### აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები

**გარემოება.** 2013 წელს მიმწოდებლებმა მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში შეასრულეს 56.8 ათასი ლარის სამუშაოები, რაც დასტურდება გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით. სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება 2013 წელს არ განხორციელებულა. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის კრედიტორული დავალიანება წლის ბოლოსათვის შეადგენს 56.8 ათას ლარს. აღნიშნული ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი.

## გავლენა

- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილი „აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლის სისწორეზე.

## ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივი

**გარემოება.** 2013 წელს ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით, ექსპლუატაციაში მყოფი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივის ღირებულება შეადგენს 343.5 ათას ლარს. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული მონაცემი არ არის წარმოდგენილი.

## გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის ფორმა №1) საცნობარო მუხლის „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.

## შრომის ანაზღაურება

**გარემოება.** 2013 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, ხელფასის სახით გასცა 1123.5 ათასი ლარი, ხოლო პრემიის სახით - 5.0 ათასი ლარი. ხელფასის უწყისების თანახმად, ხელფასის სახით გაცემულია 1075.7 ათასი ლარი, ხოლო პრემიის სახით - 52.7 ათასი ლარი. პრემიის სახით გაცემული თანხების ნაწილი - 47.7 ათასი ლარი, მიკუთვნებულია „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლს.

## გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2) პრემიაზე გაცემული თანხების არასწორი კლასიფიცირების გამო, „თანამდებობრივი

სარგოს” მუხლი გაზრდილია 47.7 ათასი ლარით, ხოლო შესაბამისი თანხით შემცირებულია „პრემიის” მუხლი.

### ოფისის ხარჯი

**გარემოება.** 2013 წელს მუნიციპალიტეტმა საკრებულოს დეპუტატების ხარჯების ანაზღაურების მიზნით გასწია 131.2 ათასი ლარის ხარჯი. თანხის გაცემის საფუძველს წარმოადგენს საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული წესი.<sup>13</sup> დადგენილების თანახმად, საკრებულოს წევრებს უფლებამოსილების განხორციელებისათვის გაწეული ხარჯი აუნაზღაურდებათ ყოველთვიურად დადგენილი ლიმიტის ფარგლებში. ამ მიზნით ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე გაცემულია 131.2 ათასი ლარი და წარმოდგენილია „ოფისის ხარჯის“ მუხლში. აღნიშნული ქმედება თავისი შინაარსით, არ მიეკუთვნება „ოფისის ხარჯს“. რადგან ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი, ვერ დგინდება, რომელი მუხლით უნდა განისაზღვროს გაწეული დანახარჯი.

### გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2) „ოფისის ხარჯის” მუხლი გაზრდილია 131.2 ათასი ლარით.

